თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №53707

ნომერი: AR123915

თარიღი : 16.02.2012

გაცემის თარიღი : 20.02.2012

გაცნობის თარიღი : 28.02.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მარშალ გელოვანი , მარჯვენა მხარეს, გაგარინის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ,

დამკვეთი-განმცხადებელი

დავით კუპატაძე პ/ნ 01027007161

9-ე სამხედრო ქალაქი 34/6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

2012 წლის 16 თებერვალს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს AAR123915 განცხადებით მომართა მოქალაქე დავით კუპატაძემ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, მარშალ გელოვანის გამზირის მარჯვენა მხარეს, გაგარინის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ #01/42 მიწის ნაკვეთზე, შერეული ფუნქციის ობიექტის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა.

საქართველოს კანონის `სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ~ მე-5 მუხლის თანახმად, ქვეყნის მდგრადი განვითარების, მისი კავკასიური, ევროპული და მსოფლიო ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით სივრცითი მოწყობა და ქალაქთმშენებლობა ხორციელდება შემდეგი პრინციპით: ქვეყნის ტერიტორიის ცალკეული ნაწილის გამოყენება და განვითარება უნდა შეესაბამებოდეს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საერთო პირობებს და მოთხოვნებს, ასევე მთელი ტერიტორიის გამოყენება და განვითარება უნდა ითვალისწინებდეს მისი შემადგენელი ნაწილების განვითარების პირობებსა და მოთხოვნებს.

`ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ~ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების პირველი მუხლით თბილისის ტერიტორიებისა და განაშენიანების რეგულირების წესები მოიცავს დედაქალაქის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების პირობებს. ამავე გადაწყვეტილების მე-8 მუხლის თანახმად, ცალკეული ტერიტორიებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებაზე გადაწყვეტილებას იღებს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო (ქალაქ თბილისის მასშტაბით – არქიტექტურის სამსახური).

ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის `ა~ პუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის `ვ~ ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის ფუნქციაა დადგენილი წესით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში ცვლილებების შეტანა. ამავე პუნქტის `ფ~ ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის `ე~ ქვეპუნქტით სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება და სხვ.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-3 მუხლის 36-ე პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები არის ,,პირობები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად კონკრეტულ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე. ამ პირობათა საფუძველზე დგება მშენებლობის განხორციელების დოკუმენტები;~

<u>განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და შესაბამისი რუკებიდან ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განმცხადებელი ითხოვს შერეული ფუნქციის ობიექტის განთავსებისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზე, საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, გამოირჩევა ნაკვეთის შეუსაბამო კონფიგურაციით და მცირე ფართობით (318მ^2), ასევე მოქცეულია მდინარე მტკვარზე გადასასვლელი საპროექტო ხიდის კვანძის მოწყობის გასხვისების ზონაში და აქტიურად დატვირთულია საინჟინრო კომუნიკაციებით, რაც სამშენებლო, თუ სხვაგვარი განვითარებისთვის, გარდა გამწვანებისა, გამოუსადეგარს ხდის აღნიშნულ მიწის ნაკვეთს და მის მიმდებარე სივრცეს.</u>

თანახმად საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, `სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ~ საქართველოს კანონის, `ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ~ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების და საქართველოს კანონმდებარე ნორმატიული აქტის #878 (საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის #49 2002წ.) ბრძანებისა

1) უარი ეთქვას მოქალაქე დავით კუპატაძეს ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მარშალ გელოვანის გამზირის მარჯვენა მხარეს, გაგარინის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ #01/42 მიწის ნაკვეთზე შერეული ფუნქციის ობიექტის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.